წ̃ა ეპიფანე კჳპრელი

# წმიდისა მარადის ქალწულისა მარიამისთჳს, რამეთუ ამისგან ჴორციელ იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ*

ღმერთი არასადა ვის უხილავს, არამედ რომელი-იგი არს წიაღთა მამისათა, მან იცის იგი(ინ.1,18). მამამან ძჱ იცის და ძემან – მამაჲ(მთ.11,27; ლუკ.10, 22); და სული წმიდაჲ მათ თანა შეყოფილ არს. ესე მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ არა განყოფილ, – ნუ იყოფინ! – არამედ ერთ სამება წმიდა, ერთ ძალ, ერთ ჴელმწიფება, ერთ უფლება, ერთ მთავრობა. რომელი პირველ ყოველთა საუკუნეთასა იყო და იყოს და არს. რომელი წმიდისა და ტრედისა **მარიამისგან** იშვა უკუანაჲსკნელთა ჟამთა, ჩუენ კაცთათვს და ჩუენისა ცხოვრებისათვს ჯერ-იჩინა ჴორცთა ამათ ჩუენთა შესხმაჲ ძემან.

ჩ̃ნ აღვიარებთ ღმერთსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა: მამაჲ სრული, ძჱ სრული, სული წმიდაჲ სრული; ერთ არსება, სამებაჲ წმიდაჲ, ძჱ ჭეშმარიტი, მამისაგან შობილი, და სული წმიდაჲ – არა უცხო მამისაგან და ძისა, არამედ მარადის იყო სამებაჲ წმიდაჲ და არასადა შეეძინა და არცა მოაკლდა რაჲ, ერთ ღმრთეება და ერთ მთავრობა ღმრთისა და მამისა და ერთ ნება. და ამის სამებისაგან წმიდისა – მამისა და ძისა და სულისა წმიდისა – ყოველივე შეიქმნა. არა ყოფილ სადამე იყვნეს, არცა თანა-მზრახველ ღმრთისა, არცა პირველად შობილ, არარაჲსაგან შექმნულ. და ამის ყოვლისა დასასრული ვიცით და გურწამს.

ხოლო მამისა და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ არცა დასაბამი, არცა აღსასრული ყოფად არს. და ესე ჭეშმარიტად ვიცით და გურწამს და აღვიარებთ. და ესე მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ წმიდათა მისთა ჩუენებით გამოეცხადებოდა, ვითარცა ძალ-ედვა თითოეულსა დატევნად ძლიერებითა ღმრთეებისა ჴვსისაჲთა, ვითარცა ვინ ღირს იქმნა თითოეული მადლსა მისსა.

ჩ̃ნ უკუე ვთქუათ მამაჲ ხილულად, ვითარცა ვის ძალ-ედვა სმენად და დატევნად ჴმისა მისისაჲ, ვითარცა თქუა პირითა **ესაიაჲსითა**: «აჰა ესერა გულისხმა-ყოს მონამან ჩემმან»(ეს.52,15), რომელი შევიყუარე. ესე – ჴმაჲ მამისაჲ. **დანიელ** იხილა ძუელი იგი დღეთაჲ(დან.7,9). ესე – ჩუენებაჲ მამისაჲ. ვითარცა კუალად: «წინაწარმეტყუელსა შინა მე ჩუენებანი განვამრავლენ და ჴელითა წინაწარმეტყუელთაჲთა ვემსგავსე»(ოსე 12,10). ესე – ჴმაჲ ძისაჲ.

და კუალად **ეზეკიელ** იტყოდა: «აღმიღო მე სულმან ღმრთისამან და განმიყვანა მე ველად»(შდრ. ეზეკ.3,23-24). ესე – სულისა წმიდისათვს იტყვს. და სხუანი მრავალნი არიან სათქუმელად, რომელი მცირედ რაჲმე მოვიჴსენეთ და თანა-წარვჰჴედით, დაუტეოთ საჩუენებელად და სახედ ეკლესიაჲსა. ჩ̃ნ ორთა სიტყუათა წარმოვადგინებთ უფროჲს ბევრეულთა და ათასეულთა, ღმრთით წერილთა სიტყუათა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალმან შექმნნა ჴორცნი **ადამისნი** და შთაბერა მას სული ცხოველი და მან მოსცა შჯული **მოსეს**, ღმერთმან – მამამან და ძემან და სულმან წმიდამან – ერთი ღმრთეებაჲ, და ამის ღმრთეებისაგან მოივლინნეს და რამეთუ ესე არს ღმერთი ჩუენი.

**ჰურიათა** მოუწოდა სიმართლედ, რომელთა არა უვარ-ყვეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი ჴორცითა მოსლვაჲ, და ყოველთავე აცხოვნებს, რომელთა ჭეშმარიტებით სარწმუნოებაჲ მისი დაუმარხავს და რომელთა არა უვარ-ყვეს ჭეშმარიტი ქადაგებაჲ მისი და სახარებისა მისისა მოძღურებაჲ. ესევითარნი ესე არა დაისაჯნენ სოფელსა თანა, რამეთუ ჭეშმარიტად მოვიდა მხოლოდ-შობილი, და ესე შეიწყნარა დედამან ჩუენმან ეკლესიამან, რომელ არს წყაროჲ ცხოვრებისაჲ და მშვდობისა ჩუენისა სიხარული, ახლისა ვენაჴისა კვრტი, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისაჲ და დაჰჴსნნა სალმობანი ჩუენნი დღი-

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რად. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 46-54.

თი-დღედნი სუმითა მით Ⴑისხლისა Ⴕრისტჱსითა, რომელმან მოგუანიჭა ჩუენ ჭეშმარიტი. Ⴐამეთუ ჭეშმარიტად შვა Ⴕრისტჱ ქალწულმან **Ⴋარიამ** Ⴑულისა Ⴜმიდისა მიერ, არა თესლისაგან მამაკაცისა, არამედ Ⴕალწულისა მისგან წმიდისა ჴორცნი შეისხნა ჭეშმარიტად და არა საგონებელად: ჴორცნი ჭეშმარიტად და ტყავი ძუალითურთ და ძარღჳთ და ყოვლით კერძოვე მსგავსი ჩუენი, არარაჲთ ჩუენგან განშორებული, არამედ მით ხოლო სიწმიდისა Ⴋისისა დიდებითა, და ჭურჭელი სიწმიდისაჲ შეუცოდებელი, ყოვლითავე სრული აქუნდა, და აქუს სული კაცისაჲ ჭეშმარიტად და გონებაჲ კაცისაჲ ჭეშმარიტად, არა ვითარ ჩუენი გონებაჲ დამტკეცილი ჴელმწიფებასა ქუეშე ცოდვისასა ყოვლით კერძოვე, არა იჯმია ცოდვაჲ; პირი – უტყუველი ბაგეთა, რომელთა არა თქუეს ზაკუვაჲ; გული – რომელი არა მიდრკა უშუერსა ზრახვასა; გონებაჲ – უცვალებელი ყოვლით კერძოვე, მიუდრეკელი უკეთურებასა; ჴორცნი – არა თუ ამათ ჴორცთაებრ მოქმედნი არა-წმიდებასა.

Ⴌუ ვინმე დაგაჯეროს, ანუ თუ გარწმუნოს ვინმე შვილმან მწვალებელთამან, რომელნი იტყჳან, ვითარმედ ჴორცნი არა შეისხნა Ⴍფალმან კაცთაგანო, არამედ ზეცით ჰქონდესო; რომელნი Ⴜერილთა აღმოიკითხვენ, რომელ დაწერილა Ⴖმრთისა მიერ მართლ, და ძენი ეშმაკისანი გარდასდრეკენ მრუდად.

Ⴀმისთჳს იტყჳს Ⴍფალი: ესევითართაჲ გული და გონებაჲ გარდაქცეულ არს მამისა მათისაგან ეშმაკისა(შდრ. Ⴈ6.8,44). Ⴀმისთჳს ეკრძალენით კეთილად შვილნი წმიდისა კათოლიკე Ⴄკლესიისანი, რომელთა შეგიყუარებიეს Ⴍფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ, რომელი წმიდამან და მარადის ქალწულმან **Ⴋარიამ** გჳშვა ჩუენ. Ⴄსევითართა მათ ნუცა მოიკითხავთ, ნუცა მათ თანა შჭამთ, ნუცა მათ თანა სუამთ, ნუცა გემოსა იხილავთ, ნუცა სიტყუასა ჰყოფთ მათ თანა, ნუცა ყოველივე, რაჲცა არს დიდითგან მცირედმდე, რამეთუ სიტყუა-ტკბილობითა მათითა და ქენებითა გარდააქცინიან გულნი და გონებანი უმანკოთანი, რაჲთამცა მათსა მას წარწყმედასა თანა წარწყმიდნენ ძენი ნათლისანი.

Ⴞოლო შენ, კაცო, რომელი აღგზარდა შენ Ⴃედამან შენმან Ⴄკლესიამან სულისა შენისათჳს, ჰრბი, ეკრძალე კეთილად სულსა შენსა. Ⴍკუეთუ იზღვიო სული შენი, რაჲ მისცე ნაცვალად სულისა შენისათჳს? ვითარცა



იტყჳს Ⴍფალი ჩუენი პირითა თჳსითა: «უკუეთუ შეიძინოს კაცმან ყოველი სოფელი და სული თჳსი წარიწყმიდოს, რაჲ მისცეს ნაცვალად სულისა თჳსისა?»(მთ.16,26; მრკ.8,36).

Ⴄხილე და ეკრძალე, ნუუკუე მწვალებელთა თანა შეჰრიო სიტყუაჲ შენი. Ⴌუ დასთესავ იფქლსა თანა ღუარძლსა, რაჲთა არა განრყუნეს ყანაჲ შენი და ნაყოფი შენი. Ⴄკრძალე კეთილად მოწაფეთა **Ⴍროგინჱსთა** მცბიერისათა და სამ გზის დაწყეულისათა, რომელმან წვალებანი ყოველნი შემოიხუნა და ღუარძლი დასთესა შორის იფქლსა, **Ⴎალესტინჱ** ყოველი შეაცთუნა და ვიდრე დღენდელად-დღედმდე წვალებანი მრავალნი იქმნებიან მისგან. Ⴄსე არს მამაჲ ყოველთა მწვალებელთაჲ. Ⴀმან **Ⴍროგინე** გესლი, შერეული თჳსი წამლითა სასიკუდინჱთა, გარეშე კართა Ⴄკლესიისათა წარმოსთხია, და რომელნი არა ეკრძალებიან, შეიგინებიან მრავალნი მისგან. Ⴞოლო ამისთა გმობათა ყოვლადვე ნუმცა სახელ-ედებ-ის, რაჲთა არა პირი ჩუენი შეიგინოს, ნუცა მოწაფისა მისისა **Ⴀრიოსისთა**, ნუცა **Ⴌისტორისთა**, ნუცა **Ⴄვტჳქისთა**. Ⴌუცა ყოველადვე რაჲ არს ეშმაკისა მოძღურებაჲ და სწავლაჲ მისი. Ⴀმისგან სასმენელნი ჩუენნი გარე-წარვაქციენეთ და Ⴃედისა ჩუენისა მოძღურებასა შეუდგეთ, რომელ არს Ⴋართლ-მადიდებელი წმიდაჲ კათოლიკე Ⴄკლესიაჲ, რომელ დაამტკიცეს წმიდათა მოციქულთა Ⴕრისტჱსთა, რომელმან გჳშვა Ⴍფალი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ, სრული ზეგარდამო Ⴖმრთეებაჲ, რამეთუ Ⴑიტყუაჲ Ⴖმრთისაჲ კაც იქმნა; არა შეიცვალა ბუნებაჲ, არამედ Ⴖმრთეებამან ჯერ-იჩინა განკაცებაჲ, საშოსა შინა Ⴕალწულისასა იქმნა ჭეშმარიტად; მუცლითა იტჳრთა, ვითარცა არს წესი ჟამთა რიცხჳსაჲ, რამეთუ იშვა, ვითარცა არს შობაჲ ბუნებისაჲ, ურცხჳნელად, უჴრწნელად, უვნებელად, ყრმა იქმნა და აღიზარდა და ჰასაკი მიიღო მამაკაცისაჲ, მკლავთა ზედა მიიქუა **Ⴑჳმეონისთა** და **Ⴀნაჲსთა**, წმიდისა **Ⴋარიამისგან** იტჳრთა; გზასა ვიდოდა ვითარცა კაცი, დაშურა ვითარცა კაცი, უცხოვებასა შინა იქცეოდა. Ⴄსე ყოველი თავს-იდვა, რაჲთა შექმნული Ⴇჳსი აცხოვნოს.

Ⴗოველივე აქუნდა თავისა Ⴇჳსისა თანა, სრულებაჲ რიცხუსა ჟამთა, თუეთა და წელიწადთასა შეერაცხა, მუცლითა იტჳრთა, იშვა დედაკაცისაგან და იქმნა შჯულსა ქუეშე.

Ⴋოვიდა **Ⴈორდანედ** და ნათელ-იღო **Ⴈოვა-**

**ნჱსგან**. Ⴀრა თუ საბანელი რაჲ უჴმდა მას, არამედ რაჲთა აჩუენოს სახჱ შჯულისაჲ, ვითარმედ კაც იქმნა, რომელმან არა შეძრა სიმართლჱ, რაჲთა აღესრულოს ყოველივე Ⴜერილი(მთ.3,15), ვითარცა თქუა Ⴋან, რაჲთა აჩუენოს Ⴋან, რამეთუ ჭეშმარიტად ჴორცნი შეიმოსნა და ჭეშმარიტი განკაცებაჲ შთაიცუა. Ⴘთა-რაჲ-ჴდა წყალთა, მისცა უფროჲს მოღებისა; უფროჲსღა მიანიჭა და არა უჴმდა მას მოღებაჲ, არამედ განანათლნა და განაძლიერნა იგინი. Ⴄსე – სახჱ მერმეთაჲ მათ განსრულებათაჲ, რაჲთა რომელთა ჰრწმენეს Ⴋისი ჭეშმარიტად, აქუნდეს სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი, ისწაონ, რამეთუ ჭეშმარიტად ნათელ-იღო.

Ⴐამეთუ ესრჱთ თავს-იდვა Ⴖჳსითა კაცთ-მოყუარებითა და სიმდაბლითა და იგიცაღა, რომელნი მოვიდოდიან და აქუნდეს Ⴋისისა მის სიმდაბლისა ძალი, განათლდენ ჭეშმარიტითა მით Ⴋისითა ნათლითა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისაჲ დაგებითა მით ძლიერებისა Ⴋისისაჲთა, რაჲთა მოგუცეს ცხოვრებად პური **Ⴈერუსალემით** და სიმტკიცჱ წყლისაჲ.

Ⴀმას Ⴕრისტჱსთჳს დავამტკიცებთ ძალსა პურისასა და სიმტკიცესა წყლისასა, რაჲთა ნაყოფი ჩუენი იყოს ძლიერებით, არამედ პური საჭმელ, ხოლო ძალი – ამას ზედა განმაცხოველებელ; და არა რაჲთა წყალმან ხოლო განწმიდნეს, არამედ სიმტკიცჱ იგი წყლისაჲ იყოს ჩუენდა სარწმუნოება და სასოება და სიყუარულ და საიდუმლო მშჳდობის, ერთობა სიწმიდის იყავნ ჩუენდა, სრულება და ცხოვრება, რაჲთა Ⴋას მხოლოსა ვადიდებდეთ ჭეშმარიტითა გონებითა და უქცეველითა სარწმუნოებითა და Ⴋისა ხოლო გუეშინოდის. Ⴀმენ.

Ⴃა აღმო-რაჲ-ჴდა **Ⴈორდანით**, მოიწია ჴმაჲ ზეცით Ⴋამისაგან და ესმა მოწაფეთა, რომელნი მის თანა იყვნეს, რაჲთა უჩუენოს, ვინ არს, რომელ წამებს Ⴋისთჳს და Ⴑული Ⴜმიდაჲ მის ზედა გარდამომავალი.

Ⴀმისთჳს მრავალ გზის წინა-აღუდეგით მწვალებელთა, რომელნი სხუად სახედ რასმე მოძღურიან მამისა მათისა ეშმაკისაჲთა, ხოლო ჩუენ არა შევარწყუათ Ⴑამებაჲ წმიდაჲ და ვაგონოთ მიზეზ სულსა, არამედ თჳსითა ჴელმწიფებითა მჯდომარჱ Ⴑულით Ⴜმიდითურთ და გარდამომავალი მას ზედა, რამეთუ ჭეშმარიტად ჩანს, Ⴐომელი წამებს Ⴋისთჳს, რაჲთა



ჴორცი განწმიდოს ამბორის-ყოფითა წმიდისა Ⴋამისაჲთა და Ⴜმიდისა Ⴑულისაჲთა, და წამონ, რამეთუ Ⴋამამან სათნო-იყო ქადაგებაჲ Ⴛისა Ⴖჳსისაჲ ჴორცითა მოსრული, რამეთუ Ⴛჱ ჭეშმარიტად გამოჩნდა და აღასრულა თქუმული იგი წინაწარმეტყუელისაჲ.

Ⴀმისა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა. Ⴀღმო-რაჲ-ვიდა **Ⴈორდანით**, არა თუ საუცრით, არამედ ჭეშმარიტად მტერისაგან გამოიცადა უდაბნოსა გარე; უკუანაჲსკნელ შეემშია, ვითარცა არს ჭეშმარიტად წესი ამათ ჴორცთაჲ; მერმე გამოირჩინა მოწაფენი და ქადაგა ჭეშმარიტებაჲ, განკურნნა წყლულებანი, განჴადნა ვნებანი, ეძინა ვითარცა კაცსა, შიოდა ვითარცა კაცსა, Ⴖმრთეებრ სასწაულსა იქმოდა, ზღუასა ზედა ვიდოდა ვითარცა ჴმელსა, ქართა შეჰრისხნა და დააყუდნა, მკუდარნი აღადგინნა, ბრმათა თუალნი აუხილნა, მკელობელთა და განრღუეულთა სიმტკიცჱ მიჰმადლა, რაჲთა ქადაგოს ჭეშმარიტებაჲ Ⴑახარებისაჲ და Ⴑასუფეველი Ⴚათაჲ მოგუანიჭოს ჩუენ მისითა კაცთ-მოყუარებითა, Ⴋამისაჲთა და Ⴑულისა Ⴜმიდისაჲთა; Ⴐომელმან ვნებაჲ ჩუენთჳს დაითმინა ჭეშმარიტად ჴორცითა და სრული კაცებაჲ შეიმოსა, ივნო ჭეშმარიტად Ⴟუარსა ზედა თანაყოფითა Ⴖმრთეებისაჲთა, არამედ არა ვნებითა, რამეთუ Ⴖმრთეებაჲ უვნებელ არს და უქცეველ ორთავე ამათგან ბუნებათა, ნათელ, განუცადებელ.

Ⴕრისტემან რაჲ ივნო ჩუენთჳს ჴორცითა, უვნებელად ჰგიეს Ⴖმრთეებაჲ კაცსა თანა, ხოლო უვნებელ Ⴖმრთეებაჲ, რამეთუ გამოუკულეველ არს და გამოუთქუმელ სიბრძნითა, რამეთუ ივნო ჴორცითა, ხოლო ცხოველ არს Ⴖმრთეებითა, და აღადგინნა მკუდარნი ჭეშმარიტად და დაეფლა ჴორცითა და თჳნიერ საშუმინველისა იდვა სამ დღე უსულოდ და შეუძრველად, და შეიხვა სამკუდროჲთა ტილოჲთა და დაიდვა საფლავსა. Ⴃა დასდვეს ლოდი და დაებეჭდა ბეჭდითა. Ⴀრა თუ Ⴖმრთეებაჲ შეეყენა, არა თუ Ⴖმრთეებაჲ დაეფლა.

Ⴞოლო შთავიდა მის თანა ქუესკნელთა გარდასკნელისათა და აღმოჴდა მიერ და წარმოტყუენნა და გამოიყვანნა სულნი, შემუსრნა ბჭენი სიკუდილისანი, განხეთქნა მოქლონნი და კლიტენი ადამანტიაჲსანი და დაჴსნა სალმობანი ჯოჯოხეთისანი, რამეთუ თჳსითა ჴელმწიფებითა აღმოჴდა ქუესკნელით. «Ⴀრღარა

მიიქცეს სული Ⴋისი ჯოჯოხეთს, არცა იხილონ ჴორცთა Ⴋისთა განსაჴრწნელი»(ფს.15,10; საქმ.2,27;2,31), აღ-რაჲ-დგა იგი მკუდრეთით, რამეთუ აღადგინა იგი Ⴖმერთმან Ⴓფალი და Ⴑიტყუაჲ და Ⴛჱ Ⴋხოლოდ-შობილი სულითურთ და ჴორცით და ყოვლით კერძოვე ჭურჭერი შეერთებული სულითა და ჴორცითა, რამეთუ სულიერად ჰგიეს.

Ⴀრამედ ივნო და გუემასა მიეცა ნეფსით ნებითა Ⴖმრთეებისა Ⴋამისაჲთა. Ⴃა ოდეს-იგი გამოიცადა ეშმაკისაგან შენდობითა, შიმშილითა გამოიცადა, შრომითა და გულის-კლებითა და ურვითა. Ⴈსე ჴორციელობით, არამედ სიწმიდჱ Ⴖმრთისაჲ შეერთებულ და განუშორებელ Ⴋისგან, რამეთუ თანა-შეყოფილ. Ⴃა ესევითართაგან ივნო წმიდაჲ იგი ჴორცი Ⴋისი, რამეთუ აღდგა მკუდრეთით და შეერთნეს ერთ სულ, ერთ Ⴖმრთეება, ერთ დიდება, რამეთუ განცხადნა ჭეშმარიტად შემდგომად აღდგომისა და ჴელითა განიხილა **Ⴇომაჲსგან** და მოციქულთა თანა ჭამდა და იქცეოდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე. Ⴀრამედ შევიდა ბჭეთა ჴშულთა და შემდგომად შესლვისა უჩუენნა ძუალნი და ძარღუნი და სახჱ სამსჭუალთაჲ და ადგილი ლახურისაჲ, რამეთუ იგი იყო ჭეშმარიტი ჴორცი.

Ⴃა ოდეს-იგი იქმნა ერთ Ⴖმრთეება და ერთ არსება, არღარა მოელის ვნებასა, არღარა იხილოს სიკუდილი, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ **Ⴎავლე**: «რამეთუ აღდგა Ⴕრისტჱ, არღარა მოკუდეს და სიკუდილი Ⴋის ზედა არღარა უფლებდეს»(რომ.6,9).

Ⴈვნო უვნებელმან, რამეთუ უვნებელად ჰგიეს მარადის Ⴖმრთეებრი; ჴორცი და სული ყოველივე Ⴋისი კაცებისაჲ Ⴖმრთეებრ იყო, რამეთუ აღჴდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით Ⴋამისა დიდებითა, არა თჳნიერ წმიდათა მათ ჴორცთასა, არამედ შთაეცვალა სულიერად, რამეთუ სრულ იყო და ერთ Ⴖმრთეება, ვითარცაღა ჩუენთაჲ ამათ ჴორცთაჲ ყოფად არს: «რომელნი დათესულ არიან განჴრწნადნი და აღდგენ უჴრწნელნი»(1 კორ.15,42), და რომელნი დათესულ არიან მოკუდავად, აღდგენ უკუდავად.

Ⴓკუეთუ ჩუენი ესე ესრჱთ, რავდენ უფროჲს მისნი იგი წმიდანი და გამოუთქუმელნი და გამოუკითხველნი და გამოუხატველნი Ⴖმრთისა თანა-შეყოფილნი და შეერთებულნი და ერთ ხილვა! ვითარცა ამისთჳს წამებს წმიდაჲ **Ⴎავლე** მოციქული და იტყჳს: «უკუეთუ სადამე ვიცოდე Ⴕრისტჱ ჴოციელად, აწ არღარა ვიცი ჴორციელად»(2 კორ.5,16). Ⴀრა თუ განვაშორებ ჴორცთა Ⴖმრთეებისაგან, არამედ ჰგიან და Ⴖმრთეებასა თანა შეერთებულ არიან. Ⴀრღარა არიან ჴორციელად, არამედ სულიერად, ვითარცა იტყჳს Ⴑულისაგან Ⴜმიდისა აღდგომითა მით მკუდრეთით Ⴓფლისა ჩუენისა Ⴈესუ Ⴕრისტჱსითა. Ⴈსე ერთად აქუს Ⴖმრთეებასა ვნებაჲ და არა-ვნებაჲ, რომელი დაეფლა და აღდგა და აღმაღლდა და დიდებითა მომავალ არს განრჩად ცხოველთა და მკუდართა, ვითარცა იტყჳს ჭეშმარიტად Ⴜერილი Ⴋისთჳს, «Ⴐომლისა სუფევისა Ⴋისისაჲ არა არს დასასრულ»(ლუკ.1,33), და რამეთუ ესრჱთ ჰრწამს წმიდასა Ⴃედასა ჩუენსა Ⴄკლესიასა და ქადაგებს ჭეშმარიტად და ჭეშმარიტ არს ქადაგებაჲ Ⴋისი, რამეთუ ყოველთავე შევისუენოთ და აღვდგეთ ამით ჴორცითა და ამით სულითა, რაჲთა თითოეულმან ჩუენმან მოიპოვოს, რაჲცა ვინ ქმნა.

Ⴎირი დაეყავნ მწვალებელთა, რომელნი მრუდად იტყჳან კეთილად Ⴜერილსა, სხუად სახედ და სხუად გარდააქცევენ.

Ⴎირი დაეყავნ **Ⴍროგინეს** და მოწაფეთა მისთა, რომელნი მისსა მას მრუდებისა მოძღურებასა ერჩიან, რამეთუ მისგან და მის მიერ წვალებანი მრავალნი შემოვიდეს შორის Ⴄკლესიასა და ეკალნი დასთესნეს შორის ვარდსა. Ⴞოლო წმიდაჲ Ⴄკლესიაჲ დაფუძნვილ და დამტკიცებულ არს Ⴉლდესა ზედა შეუძრავსა, არასადა შეირყიოს უკუნისამდე. Ⴌუ იყოფინ!

Ⴎირი დაეყავნ **Ⴀრიოსს**, რომელმანცა ღუარძლი დასთესა შორის იფქლსა წმიდასა.

Ⴎირი დაეყავნ **Ⴌისტორს** და **Ⴄვტჳქის**, რომელთა მრავალნი შეაცთუნნეს მათითა მით გულარძნილად მოძღურებითა და გმობითა მათითა; რომელნი Ⴛისა და Ⴑულისა Ⴜმიდისასა არა დასცხრებიან და წმიდასა და მარადის ქალწულსა **Ⴋარიამს** Ⴖმრთის-მშობელად არა აღიარებენ; რომელთა თავით თჳსით მთხრებლი აღმოთხარეს და იგინივე შთაითხინეს მას. Ⴞოლო ჩუენ, Ⴕრისტიანენი და შვილნი მორწმუნეთანი, Ⴃედისა ჩუენისა Ⴄკლესიაჲსა შჯულსა და მოძღურებასა შეუდგეთ, რომელსა შინა ნათელ-ვიღეთ და აღვიზარდენით, რომელი წმიდათა მოციქულთა დაამტკიცეს, რომლისათჳს ქადაგებდეს ყოველნი წინაწარმეტყუ-

ელნი **Ⴋოსჱსითგან** ვიდრე **Ⴈოვანჱსამდე**. Ⴂურწამს და აღვიარებთ წმიდასა და მარადის ქალწულსა **Ⴋარიამს** Ⴖმრთის-მშობელსა, რომლისაგან ჴორციელ იქმნა Ⴓფალი და Ⴖმერთი ჩუენი Ⴈესუ Ⴕრისტჱ.

Ⴂიხაროდენ, ქალწულო **Ⴋარიამ**, Ⴖმრთის-მშობელო, დედაო და ტაძარო და კიდობანო ძუელისა და ახლისა შჯულისაო, რომლისაგან ტაკუკი ოქროჲსაჲ სავსჱ მანანაჲთა გამოჩნდა.

Ⴂიხაროდენ, Ⴖმრთის-მშობელო წმიდაო **Ⴋარიამ**, რამეთუ შენგან და შენ მიერ ცხორებაჲ იქმნა ძეთათჳს კაცთაჲსა. Ⴅითარცა **Ⴄვაჲსგან** წყევაჲ, ეგრჱთვე შენ მიერ კურთხევაჲ; **Ⴄვაჲსგან** მიწაჲ მიწად მიიქცა, ვითარცა ესმა **Ⴀდამს**, რამეთუ: «მიწაჲ ხარ და მიწადცა მიიქცე»(დაბ.3,19). Ⴞოლო შენ მიერ მიწაჲ იგი საყდართა დიდებისათა ცათა შინა მარჯუენით Ⴖმრთისა დაისუა.

Ⴘენთჳს ყოველი დაბადებული განჰკრთა; შენთჳს დაუკჳრდა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა და ძალთა და უფლებათა და ჴელმწიფებათა, სერაბინთა და ქერაბინთა, ცათა და ქუეყანასა, მზესა და მთოვარესა, ზღუასა და ჴმელსა, პირმეტყუელთა და პირუტყუთა და ყოველსავე ბუნებასა, რამეთუ Ⴖმერთი ჰშევ.

ჵ მუცელი! რომელსა ცანი და ცანი ცათანი ვერ დაიტევენ, ესე მუცელმან Ⴕალწულისამან დაიტია! ჵ საშოჲ, რომელმან დაიტია დაუტევნელი! ჵ საკჳრველი ხილვაჲ! Ⴐომელმან მოხედის ქუეყანასა და შეიმუსრვინ იგი, შეჰრისხნის ზღუასა და განაჴმის იგი, ესე მუცელმან დაიტია, საშომან წმიდისა ქალწულისამან იტკრთა!

Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ** ქალწულო, Ⴖმრთის-მშობელო, რამეთუ Ⴓფალი და Ⴖმერთი Ⴈესუ Ⴕრისტჱ შევ, Ⴐომელმან აჴოცნა ცოდვანი კაცთანი და აღიხუნა იგინი ჩუენგან და შემშჭუალნა იგინი Ⴟუარსა; Ⴐომელმან შეწირა თავი Ⴇჳსი მსხუერპლად Ⴖმრთისა ცოდვათა ჩუენთათჳს და გუაცხოვნნა ჩუენ; რომელი გუექმნა ჩუენ პურ ცხოვრებისა; რომელმან მომწყდარნი სიყმილითა განაძღნა; წყარო ცხოვრების, რომელმან წყურიელნი გამოზარდნა; უძლურთა შემწჱ, დაცემულთა ჴელის ამპყრობელი, ჭირვეულთა ნუგეშინის-მცემელი, მაშურალთა განმსუენებელი, ცოდვილთა მწყალობელი.

Ⴂიხაროდენ, **Ⴋარიამ** ქალწულო, რამეთუ



ესრჱთი Ⴓფალი, სულგრძელი და ტკბილი, გუშევ ჩუენ! გიხაროდენ და მხიარულ იყავ, Ⴕალწულო, წმიდაო **Ⴋარიამ**, რამეთუ შენგან და შენ მიერ იხარებენ და იქადიან დედანი; რამეთუ **Ⴄვა** ძელისაგან გამოჴდა სამოთხით, ხოლო შენგან Ⴛელი თაყუანის-იცემების ყოვლისა ნათესავისაგან; შენგან ეშმაკსა ჰრცხუენა, ჯოჯოხეთი დაეცა, სიკუდილი განქარდა, საცთური განიდევნა.

Ⴂხარებდინ წმიდაჲ და Ⴋართლ-მადიდებელი კათოლიკე Ⴄკლესიაჲ! იხარებდით და მხიარულ იყვენით Ⴕრისტიანენი, რომელთა წმიდად და ჭეშმარიტად სარწმუნოებაჲ Ⴖმრთისაჲ დაიმარხეთ! წუხდედ წარმართნი, ჰრცხუენოდენ მწვალებელთა, რომელნი არა აღიარებენ აღდგომასა ჴორცთა და სულისასა. Ⴞოლო ჩუენ გურწამს აღდგომაჲ მკუდართაჲ – ჴორცთაჲ და სულისაჲ, სასუფეველი დაუსრულებელი მართალთათჳს და სატანჯველი საუკუნოჲ ცოდვილთათჳს, და განსასუენებელი მართალთაჲ და სასუფეველი და საყოფელი მორწმუნეთაჲ და ცხორებაჲ ანგელოზთა თანა, რომელთა დაიმარხეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და მცნებანი Ⴓფლისანი. Ⴑიწმიდით და ჭეშმარიტად ქადაგებულ არს და დამტკიცებულ, რამეთუ ესენი აღდგენ ცხორებასა საუკუნესა, ხოლო ესენი – სატანჯველსა საუკუნესა, ვითარცა წერილ არს Ⴑახარებასა(მთ.25,46) და რავდენსა იტყჳს მოციქული და ყოველნი წინაწარმეტყუელნი. Ⴃა ჭეშმარიტ არს წამებაჲ მათი.

Ⴓკუეთუ ურწმუნოთა ძენი მედგრად სცნობენ და სხუად და სხუად სახედ შემოაქუს მათი იგი მოძღურებაჲ, სასმენელნი ჩუენნი გარე-წარვაქცინეთ მათისა მისგან მოძღურებისა, ვითარცა ვთქუთ ზემო-კერძო. Ⴞოლო ჩუენდა იყავნ ზრახვაჲ Ⴋამისაჲ და Ⴛისაჲ და Ⴑულისა Ⴜმიდისაჲ და წმიდაჲ მისი ბეჭედი გუაქუნდინ – Ⴟუარი აღდგომასა და დაჯდომასა, გარე განსლვასა და შინა შემოსლვასა, ანუ თუ დაძინებასა, ანუ განღჳძებასა, ანუ თუ ჭამასა, ანუ სუმასა, ანუ თუ ზრახვასა, ანუ ყოველსა რასაცა იქმოდი, თუალთა წინაშემცა გაქუს წმიდაჲ მისი Ⴟუარი, რაჲთა მტერთა მათ ჩუენთა იხილონ ესე სასწაული და დიდითა შიშითა და ძწოლითა ივლტოდიან ჩუენგან, რამეთუ ამისითა ძლიერებითა Ⴓფალმან და Ⴖმერთმან ჩუენმან განაქიქნა იგინი და სასწაულად დაგჳტევა იგი ქუეყანასა ზედა. Ⴃა იყავნ ესე ჩუენდა სარწმუნოება და ესე პატივ. Ⴃა ვითარცა Ⴃედაჲ ჩუენი Ⴄკლე-

სიაჲ სარწმუნოებით ცხონდების და სასოებითა განძლიერდების და სიყუარულითა Ⴕრისტჱსითა სრულ ქმნულ არს და აღსარებითა და საიდუმლოჲთა დიდისა Ⴖმრთისაჲთა, რომლითა მომიწოდნა ჩუენ საბანელსა მას მეორედ შობისასა, რომლითა განმწმიდნა ჩუენ არაწმიდებათა ჩუენაგან ძალითა და შეწევნითა Ⴑულისა Ⴜმიდისაჲთა, რამეთუ: «წარვედით და ნათელსცემდით სახელითა Ⴋამისაჲთა და Ⴛისაჲთა და Ⴑულისა Ⴜმიდისაჲთა»(მთ.28,19), სიხარულითა Ⴖმრთეებისა Ⴑამებისაჲთა სახელ-სდებდით და ნუცამცა ერთი განრყუნილებაჲ აქუს, რამეთუ



ჩუენ თანა არს Ⴖმერთი, რამეთუ შჯული და წინაწარმეტყუელნი და მახარებელნი და მოციქულნი, ძუელი და ახალი შჯული ქადაგებენ და ახარებენ, და გურწამს ჭეშმარიტად Ⴋამაჲ და Ⴛჱ და Ⴑული Ⴜმიდაჲ.

Ⴂკრძალენით კეთილად, ნუუკუე ვინმე ერთად შეარწყუას Ⴖმრთეებაჲ, არამედ წმიდაჲ სამებაჲ სრული: Ⴋამაჲ სრული, Ⴛჱ სრული, Ⴑული Ⴜმიდაჲ სრული – ერთი Ⴖმერთი და ერთ Ⴖმრთეება, რომლისა შუენის დიდებაჲ და პატივი და ძალი და თაყუანის-ცემაჲ Ⴋამისა და Ⴛისა და Ⴑულისა Ⴜმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.

